საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ეძგვერაძე მედეა დომენტის ასული



ეძგვერაძე მედეა დომენტის ასული (დ. 21.II. 1935, თბილისი), არქიტექტორი. 1959 დაამთავრა სპი. მუშაობდა საპროექტო ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტში" (1959–63), ხოლო 1964-იდან 1992-მდე – ტიპობრივი და ექსპერ. დაპროექტების თბილ. ზონალურ სამეცნ.-კვლ. ინ-ტში (პროექტის მთ. არქიტექტორი). მის მიერ შემუშავებული ტიპური პროექტით აიგო რამდენიმე სკოლა და საავადმყოფო (ცხინვალი, რუსთავი, გარდაბანი, ზესტაფონი და სხვ., XX ს. 60-იანი წწ.). ქობულეთში სასტუმრო „კოლხეთის" (1983) არქიტექტურისათვის მიენიჭა საქართვ. სსრ მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე" (1985, ავტორთა ჯგუფთან ერთად).

ს. კინწურაშვილი